29

პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1940 — №1

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფილიალი მეთვალთვალეთ

კომუნისტი

საქ. ალკ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსაკუთრებულ ერთთვიური ჟურნალი

იანვარი, 1940 წ. № 1

გამომცემლობა „კომუნისტი", რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

შინაარსი

		გვ.
1.	**ვ ი ო ლ ა ბ ი ქ ა ბ ა ხ ი ძ ე**,—ლენინი (ლექსი)	1
2.	ცხოვრების ზღურბლთან,—თარგმანი თ უ რ მ ა ნ შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა	2
3.	**გ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე**,—საითაც ნიჟი გვეძახის (ლექსი)	4
4.	**ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ჰ ი ბ ი ნ ა ძ ე**,—მოჭიდავე ათაბაგი (მოთხრობა)	5
5.	**მ ა ყ ვ ა ლ ა მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი**,—ხვაშაქის ნაძი (ლექსი)	7
6.	ბრძოლა ცარიცინისათვის	8
7.	**ა რ ჩ ი ფ ი ნ ე ი** და **მ. მ ა ლ ხ ე ნ ი**,—არწივის ძმა, თარგმანი ელ.—ისა	10
8.	მოსწავლეთა შემოქმედება	14
9.	**ქ ე ნ ი ა ო რ ო ს ე ბ ა შ ვ ი ლ ი**,—ალუმინი	16
10.	გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და ყდის მხატვრობა
ეკუთვნის მხატვ. ი. ქოჭიაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ელ. აგლაძე პასუხისმგებელი მდივანი—ნ. სირაბილაძე

გადაეცა წარმოებას 31/XII 1939 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I 1940 წ.

ქაღალდის ზომა 62×92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9½×14

შეკვეთის რეგისტრაციის № 2321 შეკვ. № 1277. ტირაჟი 11.100. პოლიგრაფკომბინატის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28

140
1940

გიორგი კაჭახიძე

ლენინი

ფეხაკრეფით ერთად ყველამ
მავზოლეში ვნახეთ იგი,
ძილში იყო, თითქოს ახლა
დაეხურა სიბრძნის წიგნი;
თითქოს ახლა შეეწყვიტა
მნახველებთან საუბარი...
არ შფოთავდა, ისვენებდა
ქვეყნის დარით გულგამთბარი.
ვდუმდით ყველა... ფეხაკრეფით
დადიოდა გარეთ ქარიც.

ფიქრის კვალი აჩნდა შუბლზე,
რა კეთილი ჰქონდა სახე,
და ვიდარდეთ, რატომ ადრე
არ მოვედით და არ ვნახეთ.
გვსურდა, ეთქვა ჩვენთვის რამე,
სიტყვა მისი მოგვესმინა.
აზრით სავსე, გამქვირვალე,
როგორც ბროლი, როგორც მინა.
გაღვიძება ვერ გავბედეთ
და დავტოვეთ ბრძენის ბინა.

გული დაგვწყდა... მაგრამ გარეთ
ჩვენ ლენინი ისევ ვნახეთ:
მისი შუქი დაჰფენოდა
მოედნებს და ირგვლივ სახლებს,
აზრით სახე უბრწყინავდა,
მიდიოდა დინჯად, ნელა,
გავიხარეთ, აელვარდა
ჩვენი თვალთა ცისარტყელა.
შევჩერდით და შემოგვხედა,
გაგვიღიმა, გვიცნო ყველა.

ის ყანებშიც ვნახეთ მინდვრად,
მიწის გულშიც შევხედით ლენინს,
ბაღშიც შევხვდით, და ვარდები
ნამს შარბათად სვამდნენ ლხენით.
სად არ ვნახეთ... სად არ ვხვდებით
ჩვენ ლენინის თვალს და ღიმილს!
ის ძალ-ღონით ყველგან გვავსებს,
ყველგან არის მისი სხივი,
სადაც ნათელს ჰფენს სტალინი
და ბარაქით შრომა ღვივის.

ეროვნული ბიბლიოთეკა
1940

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
თბილისი

ᲩᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲚᲣᲠᲑᲚᲝᲗᲐᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეს მოგონება ეკუთვნის დ. მ. ანდრეევს, რომელიც სწავლობდა ლენინთან ერთად სიმბირსკის გიმნაზიაში.

1879 წელს სიმბირსკის გიმნაზიის პირველ კლასში გამოჩნდა სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ცოცხალი, გიჟმაჟი ვაჟი ვალოდია ულიანოვი.

პირველი სასწავლო მეოთხედი, ისე როგორც შემდეგი მეოთხედებიც, ვალოდიამ ხუთებზე დაამთავრა. თავისი ბრწყინვალე უნარიანობით ვალოდია უცებ გახდა პირველი მოწაფე. მაგრამ ის არა ჰგავდა იმ პირველ მოწაფეებს, რომელნიც დასვენების დროსაც წიგნებს ჩაჰკირკიტებენ. ყოველთვის ცოცხალი და მხიარული ვალოდია ბევრს დარბოდა, იცინოდა და ყოველნაირად ცდილობდა ადგილიდან დაეძრა ისეთი დონდღლე ამხანაგები. როგორიც მე ვიყავი.

კარგ ამინდში, დიდი დასვენების დროს, როცა მოწაფეები ეზოში გიმნასტიკას დაიწყებდნენ, ვალოდია გასაოცარი მოქნილობით ვარჯიშობდა ბაგირზე, ლატნებზე, ღერძსა და კიბეზე.

მე კარგად მახსოვს, მიუხედავად გიჟმაჟობისა, ვალოდია ჯერ კიდევ დაბალ კლასებში განირჩეოდა წესიერებით. ის ვერ იტანდა რაიმე უწესრიგობას თავის მერხზე: რვეულები ყოველთვის ცალ მხარეზე ეწყო, წიგნები მერიზე, საკალმე კი თავისი ფანქრებითა და კალმისტარებით შუაში ჰქონდა მოთავსებული.

გაკვეთილის დროს ულიანოვი არასოდეს არ ცელქობდა და არ ერთობოდა გარეშე საქმეებით. კალიგრაფიისა და ხატვის გაკვეთილებზედაც კი, როგორც ბევრ სხვა ბიჭს, ულიანოვი ტარდებოდა ხოლმე, წყნარად იჯდა და ასო ასოზე გამოჰკაზავდა ანდა ხატავდა მოცემული ნიმუშის მიხედვით.

* * *

ერთ დროს სიმბირსკის გიმნაზიის მოწაფეები ორად იყოფოდნენ: „ბომსელებად“ და „პანსიონერებად“. ულიანოვი ბომსელი იყო, მე კი, როგორც ოპოლი, სახელმწიფო ხარჯზე ვიყავ გიმნაზიის პანსიონში. პანსიონში ცხოვრება ერთფეროვანი იყო, მოსაწყენი და სასტიკად განაწილებული საათების მიხედვით.

ზუსტად დირეკტორის განკარგულებით წარმოებდა მოსწავლეთა გაჩხრეკა: ეძებდნენ აკრძალულ წიგნებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვა თავისუფლად მოაზროვნე მწერლების ნაწარმოებები.

ვალოდია ხანდახან გვამარაგებდა წიგნებით. მაგალითად, მე მისგან მივიღე ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ“.

გიმნაზიის მასწავლებელთაგან ჩვენ ძლიერ გვიყვარდა რუსული ლიტერატურის მასწავლებელი, პიატნიცკი. ის საინტერესოდა და თავდავიწყებით ლაპარაკობდა რუსი მწერლების ცხოვრებასა და ბრძოლაზე. ხანდახან მოქალაქის საზოგადოებრივ მოვალეობაზეც ბედავდა ჩვენთან საუბარს. ბოლოს ეს მასწავლებელი, თავისუფალი აზროვნების გამო, დაითხოვეს გიმნაზიიდან და ჩვენ ამ გარემოებაზე შემდეგშიაც გვტკიოდა გული.

გვიამბობდა რა პუშკინის ლიცეის პერიოდის ცხოვრებაზე და გატაცებით აქებდა რა ლიცეის ჟურნალს, რომელიც პუშკინისა და მისი ამხანაგების ინიციატივით გამოდიოდა, პიატნიცკიმ ჩასახა ჩვენში აზრი, გამოგვეცა მოწაფეთა ჟურნალი, მაგრამ ამ აზრის განხორციელება მხოლოდ პიატნიცკის წასვლის შემდეგ მოხერხდა.

ვალოდია ულიანოვი, კოსტა სერდიუკოვი და მე საათევში ჩავუდექით ჟურნალის გამოცემას. გადავწყვიტეთ ამ საქმეში სურვილისამებრ ჩაგვება ყველა ჩვენი ამხანაგი. მსურველები ბევრნი არ აღმოჩნდნენ, მაგრამ ვინც კი გამოეხმაურა ჩვენ მოწოდებას, ყველა გატაცებით შეუდგა საქმეს. ჟურნალის ყველა თანამშრომელს უახლოესი მეგობრობა გვაკავშირებდა.

ჟურნალი ხელთნაწერი იყო. გამოვიდოდა თუ არა, ჩვენ მაშინვე გადავწერდით რამდენიმე ცალად და ვავრცელებდით მხოლოდ უფროსი კლასების მოსწავლეთა შორის.

ვალოდია ულიანოვის პატარა წერილები ჩვენ ყოველთვის გვაოცებდა დალაგებული აზრითა და წამოჭრილი საკითხების სერიოზულობით.

ჩვენი ჟურნალი „იატაკქვეშ“ გამოდიოდა. გიმნაზიის მესვეურებმა ჟურნალი აკრძალეს მას შემდეგ, რაც ერთერთ მასწავლებელთაგანს შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ნომერი, რომელშიაც ჩვენ საკმაოდ კრიტიკულად ვუყურებდით გიმნაზიაში არსებულ წესებს.

ზუსტად ვიკრიბებოდით გიმნაზიის კედლების გარეთაც და დიდი ინტერესით ვარჩევდით ჟურნალში მოთავსებულ მასალებს. ულიანოვის მიერ გამოთქმული აზრს ჩვენი ნაწერების შესახებ ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით, თუმცა კამათსა და უთანხმოებას ბოლო არ უჩანდა, რადგან ყველა თავის შეხედულებას იცავდა.

* * *

კვირაობითა და სხვა უქმეების დროს ეკლესიაში წასვლა ყველასათვის სავალდებულო იყო ისევე, როგორც „აღსარების“ დროს ვნების კვირაში.

გიმნაზიელები, რომელნიც სააღდგომო არდადეგებზე მიემგზავრებოდნენ სიმბირსკიდან, ვალდებულნი იყვნენ მოეტანათ იქაური მღვდლებისაგან მოწმობები იმის დასტურად, რომ ისინი იყვნენ აღსარებაზე და განიწმინდნენ ცოდვებისაგან.

ულიანოვი, ემორჩილებოდა რა დისციპლინას, ყველასთან ერთად ეზიარებოდა ხოლმე გიმნაზიის ეკლესიაში.

ერთხელ მე ადრე ვეზიარე და ულიანოვს ვუცდიდი. მან ისე ცოტახანს დაჰყო თეჯორის უკან, რომ მე გამიკვირდა და შევეკითხე:

— რატომ გამოგიშვა მღვდელმა ასე ჩქარა?

ვალოდიამ სიცილით მიპასუხა:

— ჩქარა რომ მოვეშორებინა მღვდელი, წინასწარ ვუთხარი, ყველაფერში ცოდვა შიმიძღვის მეთქი.

ჰადრაკის თამაში ვალოდიას საყვარელი საქმეთაგანი იყო. ჰადრაკში ყველასა გვჯობდა. ის ხშირად ვარჯიშობდა ამ თამაშში მამასთან და უფროს ძმა ალექსანდრესთან. ამიტომ იყო, რომ ვალოდია გვასწავლიდა ჩვენ სხვადასხვა სვლებს.

ერთხელ, შემთხვევით, ვალოდიას ზამთრის საღამოს წვავწყდა სერდიუკოვის ბინაში. ისინი ჰადრაკს თამაშობდნენ. მეზობელ ოთახში კოსტას დედა იჯდა და ნავთის ლამპის სინათლეზე მუშაობდა.

როცა სხვები თამაშობდნენ, მე არ მიყვარდა ცქერა, თამაშს უფრო ვამჯობინებდი. თუ ჩაგერეოდი მათ თამაშში, რამეს ვიტყოდი, ან გაკეთებულ სვლაზე გამოვთქვამდი აზრს, ვალოდია მიჯავრდებოდა.

***

უფროს კლასებში ვალოდია მიუკარებელი გახდა. ხანდახან ვერც-კი დაელაპარაკებოდი. მაგრამ ჩვენ მაინც ძველებურად გვიყვარდა ის და ყველაფერს ვუთმობდით, რადგან ვიცოდით, რომ მამა მოუკვდა და ამ დანაკლისს ძლიერ განიცდიდა.

მერვე კლასში მას კიდევ უფრო მძიმე დანაკლისის განცდა მოუხდა: ეს იყო მისი [illegible] ძმის ალექსანდრეს შეპყრობა და სიკვდილით დასჯა.

მე არასოდეს დამავიწყდება გამოცდების წინადღე, მაისის თბილი საღამო და ჩემი შემთხვევით შეხვედრა ვალოდიასთან ვენიცეზე.

ვახშმის შემდეგ პანსიონის შეხუთული ჰაერიდან გულმა გარეთ, სუფთა ჰაერზე გაიწია. გამოველ ქუჩაში და ნაცნობ გზაზე სიმღერით გავსწიე ვენეცისაკენ. ფანჩატურს ჩავუარე, ვიღაცა კაცის სილუეტი შევნიშნე, რომელიც ვოლგის გაღმა მხარეს თავდავიწყებით მიშტერებოდა. მე ყურადღება არ მივაქციე ფანჩატურთან მდგომ ფიგურას და ხმამაღლა სიმღერით განვაგრძე გზა.

— რატომ არ ემზადები გამოცდებისათვის? — მომესმა ზურგიდან ვალოდიას ხმა.

ამ შეხვედრით გახარებულმა ვალოდიას მივაშურე. შევნიშნე, რომ ის ოღიც განსაკუთრებით გაშტერებული და მოწყენილია. მე მის გვერდით ჩამოვჯექ სკამზე და ვოლგის ხედს გავხედე. ვალოდია დუმდა და ხანდახან ოხრავდა.

— რა დაგემართა? — ვკითხე ბოლოს.

მან სახე შემოაბრუნა ჩემკენ. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაჩუმდა და კვლავ ფიქრებში ჩაიძირა.

მე ვფიქრობდი, რომ ის დარდობს მამაზე ან წუხს ალექსანდრეზე, რომელიც, როგორც ვიცოდით, სხვა სტუდენტებთან ერთად დაპატიმრებული იყო პეტერბურგში.

მე ვცდილობდი დამემშვიდებინა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ვიცოდი, რომ ვალოდია ხანდახან მხიარულია, ხან კი მიუკარებელია და ამ უკანასკნელი მდგომარეობის დროს იგი ამხანაგებთან საუბ-



სახლი სიმბირსკში, რომელშიაც ცხოვრობდა ულიანოვების ოჯახი.

არს გაურბის, მაგრამ საღამო ისეთი წყნარი იყო, რომ თვით ბუნება ამშვიდებდა ადამიანებს და კარგ გუნებაზე აყენებდა. მე ეს აზრი ვალოდიას გავუზიარე. ცოტა სიჩუმის შემდეგ ვალოდიამ მითხრა, რომ 8 მაისს სიკვდილით დასაჯეს მისი ძმა ალექსანდრე, რომელსაც ბრალდებოდა ალექსანდრე III-ზე თავდასხმის მომზადება. ამ ცნობამ მე თავზარი დამცა.

ვალოდია იჯდა ჩემს გვერდით წელში მოხრილი.

მოზღვავებულ აზრთა სიმრავლისაგან ლაპარაკი შეუძლებელი იყო.

დიდხანს ვისხედით ასე და ვდუმდით. ბოლოს ვალოდია ადგა და ჩვენ უსიტყვოდ გავემართეთ ქალაქისაკენ. ნელა მივდიოდით. მე ვგრძნობდი ვალოდიას მძიმე ბოლმას და იმ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომლითაც ის ამტამად იყო შეპყრობილი. მე ჩემდაუნებურად ქედს ვიხრიდი მისი გამძლეობისა და იმ უნარის წინაშე, რომლითაც [illegible] თარ თავს ფლობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განშორებისას ხელი მაგრად მოვუჭირე ვალოდიას ხელს. მან თვალებში შემომხედა და ხელის მოჭერაზე მიპასუხა. შემდეგ სწრაფად შებრუნდა და შინ წავიდა.

1887 წლის გაზაფხულზევე ვალოდია ულიანოვმა ოქროს მედალზე დაამთავრა გიმნაზია და ამავე წლის აგვისტოში ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა.

თარგმანი **თურმან შანშიაშვილისა**

გრიგოლ აბაშიძე

საითაც ნიჭი გვეძახის

ჩვენთვის მზრუნველმა ბერიამ
ვულები ლხენით აგვივსო,
გვითხრა: მოწაფის გმირობა
ფრიადზე სწავლა არისო.

და მართლაც, სწავლა როდია
გმირობა მცირეოდენი,
მთავრობამ კარგი სწავლისთვის
ჩვენს ტოლსაც მისცა ორდენი!

ჩვენ ხელს ვერავინ შეგვიშლის,
ცოდნით და სწავლით წინა ვართ,
გვინდა ექიმი ვიქნებით,
გინდ ცას გავცურავთ მფრინავად.

გინდ მეზღვაური გამოვალთ,
გინდ მშენებელი ხიდების,
გინდა უღრუბლო ლაჟვარდში
პარაშუტს დავეკიდებით.

ზოგს ხელოვნება იტაცებს,
ზოგს მოვლა უყვარს ვენახის,
ჩვენთვის ყველა გზა ხსნილია,
საითაც ნიჭი გვეძახის.

დავრენვი ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროვანი ალაგები

სამცხეს ათაბაგი ქაიხოსრო რომ გარდაიცვალა, ტახტის მემკვიდრე ყვარყვარე მცირეწლოვანი იყო. დრო იოვეს ათაბაგობას დახარბებულმა გვარებმა და აუმხედრდნენ მცირეწლოვან მემკვიდრეს. ათაბაგობისაკენ განსაკუთრებით შალიკაშვილები მისწრაფოდნენ. ვარაზ შალიკაშვილი პირში ტკბილ სიტყვას ეუბნებოდა ქვრივსა და ობოლს, ხოლო ათაბაგობის ტახტზე შებრძანებას კი ელოდა, ამიტომ დახმარებისათვის ყაენებს მიმართა.

ხანი გადიოდა, ყვარყვარეც თანდათან ვაჟკაცდებოდა. საათაბაგოში შექმნილი არეულობით ისარგებლა ხონთქარმა და დიდძალი ჯარით შემოესია სამცხეს. შეშინდნენ შალიკაშვილები, სხვა დიდგვარიანებიც და ციხეები თავიანთი ნებით მიართვეს ხონთქარის თთავარსარდალს მუსტაფა-ფაშას, ხოლო ყვარყვარემ არც ერთგულება გამოუცხადა და არც ციხეები მიართვა. ამიტომ შეიპყრეს იგი და სტამბოლს ჩაიყვანეს. იქ მუსტაფა-ფაშამ უთხრა ყვარყვარეს:

— თუ შენ ხონთქარის ერთგულებას გამოაცხადებ, სამცხეს ფაშად დაინიშნები...

— მე არც ერთგულებას ვაცხადებ და არც ფაშობა მინდა,—მტკიცედ უპასუხა ყვარყვარემ.

ბოლოს თვითონ ხონთქარმა დაიბარა. ყვარყვარეც მაშინვე გამოცხადდა. ხონთქარის წინ წარსდგა მშვენიერი ვაჟკაცი, ახოვანი და მხარბეჭიანი, ძალიან უზდებოდა ხშირი შავი ხუჭუჭი თმა. ხონთქარი მოიხიბლა ამ კაცით და შეეხარბა მისი ვაჟკაცობა. ასეთი კაცის გულის მოგება და ფაშად დანიშვნა ფრიად სასარგებლო იქნებაო, იფიქრა ხონთქარმა, ამიტომ დიდძალ სიმდიდრესა და წარჩინებას დაჰპირდა:

— მიიღე ოქრო-ვერცხლი და ფაშობა, მხოლოდ ერთგულება გამომცხადე.

მაგრამ ყვარყვარე არ მოიხიბლა ამ სიმდიდრითა და წარჩინებით, ყველაფერზე ცივ უარს ამბობდა:

— სიმდიდრე და წარჩინება ჩემს ქვეყანას ვერ გამაყიდვინებს.

ხონთქარს მოეწონა ყვარყვარეს სიმტკიცე და სწორედ ამიტომ უფრო შეეხეწა, მაგრამ მისი გატეხა მაინც ვერ მოახერხა, ამის შემდეგ ტყვე ათაბაგი სასახლის მეგობრად გიიხადა, ის ესწრებოდა ნადიმებს, ზეიმებს, გართობებს.

ხონთქარს ერთი გამოჩენილი ფალავანი ჰყავდა. მთელ სახონთქროში მისი მომრეკი კაცი არ იყო. როცა ქვეყნის მბრძანებელს გართობა მოუნდებოდა, დანიშნავდა დღეს. იგი ამ დღეს სხვადასხვა თარიღს უკავშირებდა: ხან თავის დაბადებას, ხან ტახტზე აბრძანებას, ხან რომელიმე ქვეყნის დაპყრობას, ხან შვილის დაბადების დღეს. ასე რომ ხშირად ეწყობოდა ასეთი საზეიმო დღეები. გამოცხადდებოდა თუ არა სპფალავნო დღე, მაშინვე მთელი ქვეყნის მოჰიდავენი შეიყრებოდნენ სასახლის კარზე მყოფ გამოჩენილ მოჰიდავეებთან შესაბმელად. ყველას თავის გამოჩენა სურდა, იქნებ ხონთქარმა თავის ფალავნად აგვიყვანოსო. ერთი ასეთი დღე ყვარყვარეს სტამბოლს ყოფნის დროს გამოაცხადა ხონთქარმა. თვითონ სწორედ იმ დღეს დაბადებულიყო. მოჰიდავენი მოდიოდნენ და მოდიოდნენ, თავიანთი მოსწლით დიდი მბრძანებლის სიამოვნება სურდათ. ხონთქარმა ყვარყვარეც მიიწვია მაყურებლად, თვითონ განსაკუთრებულ ადგილზე დაჯდა და ეს ტყვე სტუმარიც თავის მახლობლად მოათავსებინა. ხონთქარის სამყოფელი ლამაზად იყო მოწყობილი. ხელოვნურად ამაღლებულ ადგილზე ხალიჩებით გაეკეთებინათ კარავი, დახურულიც ხალიჩებით იყო; შიგ მსხდომი რომ ზზეს არ შეეწუხებინა, ძირსაც ხალიჩები გაეფინათ და ზედ მსხვილი მუთაქები ჩაეშეკრიფებიათ.

ზეიმს ურიცხვი ხალხი ესწრებოდა. როგორც კი საჰიდაო მუსიკა დაუკრეს, დიდ წრეში მაშინვე გადმოვიდა უზარმაზარი კაცი. მას დიდი, შავი წვერულვაში ჰქონდა, ბრიალა თვალები ცეცხლივით უელავდა, თითქოს წინასწარვე იმუქრებოდა: აბა, ვინ გაბედავს ჩემთან შებმასო, და წოეში ამაყად დაიწყო სიარული. იგი ხან ერთი მხრით მიმართავდა ხალხს ხელის მუნჯური დაჭერვით, მოდით, ვიჭიდაოთო, ხან მეორე მხარეს, მაგრამ გადასვლას ვერავინ ბედავდა. ბოლოს გადავიდა ერთი, მიესალმნენ ერთმანეთს, მერე წრე გაკეთეს. ხონთქარის ფალავანმა უცებ წამოაგლო ხელი და მიწაზე გაშხლართა. ამის შემდეგ კიდევ უფრო ამაყად დაიწყო სიარული. მისი შემბმელი აღარავინ ჩანდა. ისიც იყო ჭიდაობა ამით უნდა დამთავრებულიყო, რომ ყვარყვარემ მიმართა ხონთქარს.

— დიდო ხონთქარო, ნება მომეცი განთქმულ ფალავანს შევეჭიდო.

ხონთქარი ძალიან გამხიარულდა და მაშინვე უთხრა:

— თუ კი სურვილი გაქვს, შეეჭიდე!

ხალხი უცებ შეიშმუშნა, თან ხმა გავრცელდა:

„ჩვენებური კაცი არაა, ვიღაც ტყვედ წამოყვანილმა დიდებულმა ისურვა ჭიდაობა“.

ზოგი კიდევ დაცინვით ლაპარაკობდა: — ეგ რომ კარგი ვაჟკაცი ყოფილიყო, ტყვედაც ვერ წამოიყვანდნენო.

კვლავ აზუზუნდა საპირველო მუსიკა. ყვარყვარე მხრების მსუბუქი რხევით შევიდა წრეში. ეს ახოვანი ვაჟკაცი ისე მიდიოდა, თითქოს ნიავი მიაქროლებდა. ყვარყვარე უფრო ლამაზი იყო, ხოლო მისი მოპირდაპირე — ჯაბუხი და მრისხანე; ყვარყვარე კაცი იყო, ის კი ნამდვილი გოლიათი. ეათ, წესისამებრ, ჯერ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, მერე შორიშორს გადგნენ.

ყვარყვარე არ იყო ჭიდაობის ხასიათზე, მაგრამ სხვა საქმე რაღა ჰქონდა სტამბოლში?

მოპირდაპირენი ერთმანეთს განხე გაუხტნენ, საძგერებლად მოიშვილდნენ, მერე მდევებივით დაეძგერნენ ერთმანეთს. მიწამაც კი დაიგრიალა. შეძიძგილავდნენ. ყვარყვარემ ჯერ მხარი უჩვენა, მერე მკერდით შეეტაკა, ბოლოს ფეხი დაუდო. ხონთქარის ფალავანიც თავის ბოძივით ფეხებს, ხან ერთსა და ხან მეორეს, უროსავით სცემდა ათაბაგის გამოწვდილ ფეხს, ჩაიცვდა და აღარ ეშვებოდა, ისე თავგამეტებით სცემდა, თითქოს მოწინააღმდეგეს ფეხების მოტეხას უპირებდა. ყვარყვარემაც იხელთა დრო, როცა ხონთქარის ფალავანმა თავგამეტებით გამოუქნია მარჯვენა ფეხი ათაბაგის მარცხენა ფეხს, ყვარყვარემ სწრაფად აიღო ფეხი და [illegible] ფალავანი მოტყუვდა, ფეხი სივრცეში გაუტარა. [illegible] ცხენა ფეხზე შემდგარი ხონთქარის ფალავანი ყვარყვარემ მაგრად გადმოიქნია და მიწაზე გულაღმა ზღარბანით გაშოტა. პირველად წაქცეულ ხონთქარის ფალავანს ეგონა, თითქოს ცა ენგრეოდა თავზე. თავბრუდახვეული კარგახანს ეგდო მიწაზე. ხონთქარის ამალა აღშფოთდა; მზად იყვნენ ბრძანების მოსასმენად, რომ ტყვე ათაბაგი შეეპყროთ, ხოლო როცა ხონთქარი მხიარული დაინახეს, რომელიც გულიანად იცინოდა, ისინიც დამშვიდდნენ.

ხონთქარმა საღამოს დაიბარა ყვარყვარე, ისიც დანიშნულ დროზე წავიდა. თან ფიქრობდა: ალბათ, ეწყინა, სანაქებო ფალავანი რომ წავუქციე და სამაგიეროს გადახდა უნდაო. მივიდა ხონთქართან და მორჩილად მიესალმა, თავი დახარა და ხელები მკერდზე დაიკრიბა, ხოლო მაშინ შეხედა ხონთქარს, როცა მისი პირველი სიტყვები გაიგონა:

— სამცხელო ათაბაგო, წადი სამცხეში კვლავ ათაბაგად, შენისთანა ვაჟკაცი ღირსია თავის ხალხს წინ უძღოდეს.

ყვარყვარე ამას სრულებით არ ელოდა ხონთქარისაგან და გახარებულმა მადლობა შესწირა.

გამარჯვებული ათაბაგი კვლავ სამშობლოში დაბრუნდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის ნაძვი

სახლში ჩვენები ნაძვისხეს რთავენ
ფერად ბუშტებით, ბრჭყვიალა ზეზით.
მე კი უეცრად შენ გამახსენდი
და სანახავად გამოვიქეცი;

გული არ დაგწყდეს, ჩემო ლამაზო,
ბევრსა სჯობიხარ მრუდეს, ნუტრიანს,
მაგრამ ჩემ სახლში ვერ წაგიყვანდი:
ბაღში ხის მოჭრას, ვიცი უშლიან.

შენი ზაფხულის ხშირი სტუმარი,
არც ამ ახალწელს დაგტოვებ მარტოს,
მე სულ სხვანაირ ლხინსა გთავაზობ,
აი, მისმინე, ასე გავმართოთ:

ღვიის და ფითრის მძივებს შეგაბამ,
არ გაგრძნობინებ ტკივილს სრულებით,
ფერად-ფერადი შუშების ნაცვლად
მოგრთავ ფათალოს ყვავილწნულებით.

გუნდის ხის ფირუზ მარცვლებს მოგიტან,
მოვკრებ ჭადრების ბუძგა საყურეს,
ფეხქვეშ გაფენილ სპეტაკ ნოხებზე
ახალი რთვილის ბზინვას დაჰყურებ;

ბევრს მოგიგროვებ ოქროსფერ ფოთლებს,
კუწუბკალთებას, ნაირსახიანს,
თავისებური სამკაულები
ზამთრის ბაღს ბლომად შეუნახია.

მოვა ნამდვილი თოვლის ბაბუა,
შენს ჩვილ თათებში ღამეს გაითენს,
დილით ბეღურა გნახავს, ღაბუა,
და ჟრიამულით მორეკავს ჩიტებს.

მე ჩემს დაიკოს მოგიყვან მეკვლედ,
ჩვენც მოგილოცავთ ტკბილი ნუღლებით,
მიეგებები ახალწელიწადს
თან მხიარული, თან ხელუხლებელ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის-ის იყო წითლებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს საზიზღარ მტერს კოლჩაკს, რომ სამხრეთის ფრონტზე გაჩნდა ახალი საშიშროება; თეთრმა გენერალმა დენიკინმა დაიწყო თავისი ძირითადი ლაშქრობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაშინ 1919 წელი იყო, ზაფხული.

დენიკინის არმიამ დაიპყრო ხარკოვი, ეკატერინოსლავი, ცარიცინი... წითლები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ. შუა ოქტომბრისათვის დენიკინელებმა დაიკავეს მთელი უკრაინა, აიღეს ორიოლი და ტულას უახლოვდებოდნენ. მოსკოვამდე ცოტა მანძილი იყო დარჩენილი. მდგომარეობა მეტად დაძაბული ხდებოდა, საშიშროება იზრდებოდა...

პარტიამ განგაში ასტეხა და მოუწოდა ხალხს მტკიცე კედლად აღმართულიყო საბჭოთა ხელისუფლების დაცვისათვის. „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!“ — გადმოსროლა ლოზუნგი დიდმა ლენინმა. საბჭოთა ხალხის უმროტეს მტერს „ჩვენ უკვე მოვტეხეთ ერთი ხელი—კოლჩაკი,—წერდა ლენინი.—ჩვენ გვემუქრება მისი მხოლოდ მეორე ხელი—დენიკინი“.

ინგლისელი, ფრანგი და სხვა იმპერიალისტური ქვეყნის სისხლიანი ყაჩაღები ეხმარებოდნენ თეთრებს, ამარაგებდნენ მათ ქვემეხებით, ტანკებით, ტყვიებით, ტანსაცმელით... ისინი ოცნებობდნენ, რომ მათ მიერ მოწყობილი ლაშქრობა საბჭოთა რუსეთის განადგურებით დამთავრდებოდა. ჩერჩილმა — ინგლისის სამხედრო მინისტრმა, განაცხადა, რომ რუსეთზე გაილაშქრებს თოთხმეტი ბურჟუაზიული სახელმწიფო და რომ 1919 წლის სექტემბრისათვის აღებული იქნება პეტროგრადი, ხოლო დეკემბრისათვის მოსკოვი.

მსოფლიოში ბევრს, ძალიან ბევრს სჯეროდა, რომ ეს მართლაც ასე მოხდებოდა, სჯეროდათ, რომ დენიკინი აღადგენდა მტაცებელთა რუსეთს.

მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობდნენ რევოლუციის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი. მძიმე დღეებში, დენიკინთან გადამწყვეტი ბრძოლების დღეებში, ასე წერდა ლენინი:

„ომში იმარჯვებს ის, ვისაც აქვს მეტი რეზერვები, ძალის მეტი წყაროები, ვისაც აქვს მეტი სიმტკიცე ხალხის მასაში.

ჩვენ ყველაფერი ეს მეტი გვაქვს, ვიდრე თეთრებს, მეტი, ვიდრე ინგლის-საფრანგეთის მსოფლიოში უმძლავრეს „იმპერიალიზმს“.

1919 წლის ოცდაშვიდ სექტემბერს ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის წინადადებით სამხრეთის ფრონტზე დანიშნა ამხანაგი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა უშუალოდ აიღო ხელში დენიკინის განადგურების ხელმძღვანელობა. დინჯად, მოფიქრებით შეუდგა მდგომარეობის გამოსწორებას, საშინელი მტრის განადგურების გეგმის შედგენას.

ოცდაშვიდ სექტემბრამდე სამხრეთის ფრონტზე, ტროიკის დანაშაულებრივი მოქმედებით, უწესრიგობა მეფობდა. მთელი რიგი მეთაურები უთაურად მუშაობდნენ, ადგილი ჰქონდა უდისციპლინობას, დაუდეგრობას...

აი როგორ აღუწერს ლენინს საერთო მდგომარეობას ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ამხანაგი სტალინის წინადადებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამხრეთის ფრონტზე გაგზავნა:

„... მე ახლა დამნიშნეს მე-14 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში... შტაბებში არ არის არავითარი წესრიგი, ფრონტის შტაბი ნამდვილი ბალაგანია. სტალინი ეს-ეს არის შეუდგა წესრიგის დამყარებას. ნაწილებს შორის შეჭამნეს ისეთი განწყობილება, რომ საბჭოთა ხელისუფლების საქმე წაგებულია, რომ სულერთია ვეღარაფერს გავაწყობთო... საერთოდ, რაც აქ მესმის და რასაც ვხედავ, რაღაც ანეგდოტურია. სად არის ეს წესრიგი, დისციპლინა და ტროიკის რეგულარული არმია? როგორ დაუშვა მან, რომ საქმე ასეთ ნგრევამდე მივიდა? ეს სრულიად გაუგებარია“.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა სტალინი ჩავიდა სამხრეთის ფრონტზე. ამხანაგმა სტალინმა მალე მოაწესრიგა ყველაფერი, მტრის გასანადგურებლად შეიმუშავა ბრძნული გეგმა.

მანამ სამხრეთის ფრონტის სარდლობას ტროიკასთან ერთად შემუშავებული ჰქონდა გეგმა, რომ-

ლის მიხედვით მთავარი დარტყმა დენიკინის წინააღმდეგ უნდა წარმართულიყო ცარიცინიდან ნოვოროსიისაკენ დონის ველებით. ამ გეგმით გამარჯვება არ შეიძლებოდა, რადგანაც: „ჯერ ერთი, წითელი არმია ამ მიმართულებით სრულ უგზოობას შეხვდებოდა, მეორეც, ყაზახთა მნიშვნელოვანი ნაწილი თეორგვარდიელების გავლენის ქვეშ იყო.

ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა ასეთი გეგმა: მთავარი დარტყმა უნდა წარმართულიყო ხარკოვ-დონბას-როსტოვით. „ჯერ ერთი,—წერდა ამხანაგი სტალინი,—აქ ჩვენ ვიქნებით არა მტრულ, არამედ, პირიქით, ჩვენდამი სიმპათიით განწყობილ გარემოში, რაც გააადვილებს ჩვენს წინსვლას; მეორეც, ჩვენ ვღებულობთ უმნიშვნელოვანეს სარკინიგზო ქსელს (დონეცისას) და ძირითად არტერიას, რომელიც ასაზრდოებს დენიკინის არმიის—ვორონეჟ-როსტოვის ხაზს... მესამეც, ამ წინსვლით ჩვენ დენიკინის არმიას ვაპობთ ორ ნაწილად, რომელთაგან მოხალისეთა ნაწილს გადასაყლაპავად ვუტოვებთ მახნოს, ყაზახთა არმიებს კი ზურგიდან შემოვლის საფრთხეს ვუქმნით; მეოთხეც, ჩვენ შესაძლებლობას ვიღებთ წავკიდოთ ყაზახები დენიკინს... მეხუთეც, ჩვენ ვღებულობთ ნახშირს, დენიკინი კი უნახშიროდ რჩება. ამ გეგმის მიღების დაყოვნება არ შეიძლება“.

გარდა ამისა, ამხანაგმა სტალინმა თავიანი ბრძნული გეგმის შესრულებისათვის მოითხოვა შემდეგი პირობები: ტროცკი არ ჩარეულიყო სამხრეთის ფრონტის საქმეებში, დაუყოვნებლივ გამოწვეული ყოფილიყო სამხრეთის ფრონტიდან მთელი რიგი უვარგისი მუშაკები და მათ ნაცვლად გაგზავნილიყო ახალი, საუკეთესო მუშაკები.

დიდმა ლენინმა სავსებით მოიწონა დიდი სტალინის გეგმა და წინადადებანი და დაადასტურა ისინი.

* *
*

სამხრეთის ფრონტზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ სტალინთან გაგზავნა შესანიშნავი ბოლშევიკები: ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ბუდიონი. დიდმა ბელადმა ისინი გაანაწილა გადამწყვეტ უბნებზე, მისცა მათ ზუსტი დავალებანი.

ოქტომბერში დაიწყო გააფთრებული შეტევები თეთრების წინააღმდეგ. 15-27 ოქტომბრის განმავლობაში წითლებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს დენიკინის საუკეთესო დივიზიებსა და კორპუსებს.

მეტად გააფთრებული ბრძოლა იყო გამართული კრომ-ორიოლის რაიონში. ურიცხვი მტერი ზოვასავით აწვებოდა ახალგაზრდა სამშობლოს დამცველებს. მაგრამ აქ, ამ გადამწყვეტ უბანზე, გმირულმა მეცამეტე და მეთოთხმეტე წითელმა არმიებმა ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით თექვსმეტი დღის განმავლობაში გაანადგურეს დენიკინის ყველაზე მაგარი დივიზიები: კორნილოვის, მარკოვისა და დრონდოვსკისა.

ოც ოქტომბერს დენიკინელებმა უკან დაიხიეს ორიოლიდან. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა კრომის რაიონში. ხან წითლები სძლევდნენ თეთრებს, ხან—თეთრები. ეს პატარა დაბა კრომი ბევრჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში.

ამხანაგი სტალინი ოცდახუთი ოქტომბრის წინაღამეს პირდაპირი მავთულით ესაუბრა სერგო ორჯონიკიძეს, მისცა მას გარკვეული მითითებები: მაგარ მუშტად შეეკრა წითელი პოლკები, სასტიკი დარტყმა მოეხდინა გენერალ კუტეპოვის კორპუსზე და მუსრი გაევლო მისთვის.

სწორედ ამავე დღეებში გადამწყვეტი შეჯახება მოხდა წითელ და თეთრ ცხენოსან ჯარს შორის. ამხანაგ ბუდიონის პირველმა ცხენოსანმა კორპუსმა გარეკა მტრები ვორონეჟიდან და გაათავისუფლა ქალაქი.

დენიკინელებმა უკან-უკან იწყეს დახეა. წითლები ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ, ავიწროებდნენ, ანადგურებდნენ.

ოხუთმეტი ნოემბრისათვის ამხანაგ ბუდიონის ცხენოსანმა კორპუსმა გააფთრებული იერიშის შემდეგ გაანადგურა გენერალ პოსტოვსკის ჯგუფი, ჩვიდმეტი ნოემბრისათვის კი მეცამეტე და მეთოთხმეტე არმიებმა დაიკავეს ელოვი და კურსკი.

ამ დღეებში ამხანაგმა სტალინმა ბრძანება გასცა, რათა პირველი ცხენოსანი კორპუსიდან შექმნილიყო პირველი ცხენოსანი არმია ამხანაგების ვოროშილოვის, ბუდიონისა და შჩადენკოს მეთაურობით.

მალე ამ გმირულმა ცხენოსანმა არმიამ მოხერხებულად გაჰკვეთა ორ ნაწილად დენიკინის ფრონტი.

წარმატებებს წარმატებები მოჰყვა; წითლები ზედიზედ ათავისუფლებდნენ თეთრების მიერ დაკავებულ ქალაქებს, დაბებს, სოფლებს. დეკემბრის განმავლობაში მტრები განდევნილ იქნენ ხარკოვიდან, კიევიდან, დონბასიდან.

რჩებოდა ქალაქი ცარიცინი.

მაგრამ მისი აღება უკვე აღარ წარმოადგენდა შედარებით დიდ სიძნელეს. წითლებმა გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს ქალაქზე. და სან ინანვარს, 1920 წელს, ცარიცინი საბოლოოდ განთავისუფლდა დენიკინელთა თარეშისაგან.

განადგურებული მტრები გაიქცნენ.

ამრიგად, ამხანაგი სტალინის გენიალური გეგმით, ბრძნული ხელმძღვანელობით განადგურებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე უფრო საშიში მტერი—დენიკინი.

ანტანტის მეორე ლაშქრობა დამარცხებით დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

არჩი ფინეი და მ. მაღსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერწივის მა

ეს ლეგენდა ჩაწერილია ჩრდილო ამერიკელი ინდოელის, ნუმიპუს ტომის წარმომადგენლის არჩი ფინეის ნაამბობის მიხედვით. 1932 წლიდან 1937 წლამდის არჩი ფინეი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტად, მან დისერტაციისათვის: „ჩვეულებები და ფოლკლორი ნუმიპუს ტომისა“ მიიღო სახოგადოებათა მეცნიერების კანდიდატის სახელწოდება.

დიდი ხნის წინათ ატსი, რომელიც მომავალში უნდა გამხდარიყო ტი, რაც ნიშნავს ბელადს, გაემართა ტყისაკენ, რომ ,ქ ჩაეტარებინა განწმენდა: მთელი რვა დღის განმავლობაში უნდა ეშიმშილა და უნდა მისცემოდა ფიქრებს მარტოობაში. ნუმიპუს ტომის ყველა ბიჭი ასრულებს ამ ჩვეულებას, რომ გახდეს ნამდვილი მამაკაცი. ინდოელების აზრით, როცა მათი სხეული დაუძლურებულია, მაშინ სულისათვის გასაგები ხდება ბუნების უცნობი ხმები და ადამიანი შეიცნობს მრავალი საგნის სიბრძნეს.

ატსი ბელადის ვაჟია. რამდენიმე დღის განმავლობაში იკაფავდა ის გზას ტყის სიღრმეში, სანამ არ აღმოჩნდა მიყრუებულ ადგილას, სადაც თითქოს შეიძლებოდა მოგესმინათ თვით ბუნების გულისცემა. 8 დღეს დარჩა ის მარტოდ. შიმშილობდა, ფიქრობდა, იცქირებოდა, მოკლედ —ასრულებდა ყველაფერს, რაც ეეალებოდა. მერვე დღეს ბიჭი მთლად დასუსტდა. შიშშილისა და უძილობისაგან თვალები ჩაუცვივდა, თავი კი ობობას ქსელივით დაუმსუბუქდა და კისერზე ვეღარ მაგრდებოდა.

მაგრამ ატსი ბედნიერი იყო: ის ამიერიდან ბიჭი აღარ იყო, ის უკვე ნამდვილი მამაკაცი გახდა, რომელსაც შეუძლია აიტანოს შიშშილიც და მარტოობაც. ის დადგა უკან დასაბრუნებელ გზას, მიდის და თითქოს სიზმარშია, მოუთმენლად გასაცქერის ტეგრს: ხომ არ შეხვდება მას ბილიკზე თუნდაც რომელიმე ცოცხალი არსება. ინდოელების აზრით პირველი ცხოველი ან ფრინველი. რომელიც გზაზე შეხვდება შიმშილობის შემდეგ შინისაკენ მიმავალ ბიჭს, მოუტანს მას ბედნიერებას. ასეთ ცხოველს არ შეიძლება მიაყენონ რაიმე ვნება. მას უნდა მოეპყრან მოკრძალებით, როგორც განსაკუთრებულ ღვთაებას—ტოტემს, პრძენ მფარველ სულს. ატსი დიდხანს მიდიოდა, მაგრამ არც ფრინველი, არც ცხოველი გზაზე არ შეხვედრია. ირგვლივ დუმილი და მარტოობა სუფევდა.

უცბად მაღალი, გამხმარი ფიჯვის მწვერვალიდან შრიალი მოესმა და გამხმარი ნემსებისა და ტოტების წვიმა დაეფრქვა ბიჭს. ატსიმ აიხედა მაღლა და დაინახა, რომ ძირს ვარდებოდა რუხი ბუმბულის კუმში... მის ფეხებთან დაეცა შეშინებული, გაბოროტებული არწივის ბარტყი.

— ოხ!—შესძახა ახალგაზრდამ, არ უჯერებდა რა თავის თვალებს და თავის ბედნიერებას. არწივი ხომ ინდოელებში ყველაზე ძლიერ და ყველაზე ღვთაებრივ ფრინველად ითვლება და აი თვით ფრინველების მეფე (რომელმაც, ინდოელების აზრით, შექმნა მსოფლიო) გახდა მისი ტოტემი. ეს ატსისათვის ისეთი პატივი იყო, რომ ის აკანკალდა სიხარულით და კინაღამ გადაავიწყდა წარმოეთქვა მიმართვა დიდი მამისათვის, რასაც წამოიძახებენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში მისი ტომის ბიჭები: „ვიძლევი მტკიცე დაპირებას დავიცვა ჩემი ტოტემი—არწივი და მისი ყველა მონათესავე, მისი მთელი მოდგმა. როდესაც სხვები დაიწყებენ სროლას, ჩემი ისარი შედგება კაპარეში, როდესაც სხვები იტყვიან: „მოდი, მოვკლათ იგი“, მე ვიტყვი: „ხელი არ ახლოთ, ეს ჩემი ტოტემია, ჩემი ღვთიური მეგობარი“. როგორც კი მოაგონდა ატსის, რომ მას ფიცი უნდა წარმოეთქვა, მან აღაპყრო ხელები და დაიწყო უძველესი სამადლობელი სიმღერა.

ბარტყი კი ისევ მის ფეხებთან იყო და შეშინებული ეყოფდა. მას ჯერ არ შეეძლო არც ხტომა და არც ფრენა. ატსიმ დაინახა, რომ არწივის ბარტყმა ჩამოვარდნისას ფრთა მოიტეხა. მღელვარებისაგან აკანკალებულმა ატსიმ ფრთხილად აიყვანა და მოკრძალებით წაიყვანა ის, ბარტყი ბოროტად კორტნილი მას. მახვილმა ნისკარტმა გაგლიჯა ატსის კანი და მისი ხელებიდან სისხლმა დაიწყო დენა, მაგრამ ტკივილებისაგან სახეშეპუხული ბიჭი პაწაწინა მტაცებელს ისე ხმაკბილად, ისე ალერსიანად გამოელაპარაკა, რომ ბარტყი თანდათან დამშვიდდა.

— ჩემი ძმა, ჩემი ძმა,—ამბობდა ატსი.—პატარა ჩიტუნა, ჩვენ ორივენი ბელადები ვიქნებით. მე ამიერიდან ვატარებ შენს ფრთას, შენ კი ყოველდღიურად გეკვნება კიბოები და თევზები. დაიძინე, პატარა ძმაო,ჩვენ ნათესავები ვართ. მე ყოველთვის შენი მეგობარი ვიქნები, ყოველთვის შენი დამცველი ვიქნები.

და ბარტყი სრულიად დამშვიდდა. საცოდავი ჭყივილი შეწყდა. ბარტყმა თავი ჯანსაღი ფრთის ქვეშ დამალა და ატსის ხელებზე მიიძინა.

და ასე მივიდა ატსი თავის სამშობლო სოფელში, ორგულუნების მდინარის ნაპირზე, სადაც მისი მამა იყო ბელადად. ყველა მამაკაცი გამოიქცა მის

შესაგებებლად. ისინი გამოწყობილნი იყვნენ მგლის შეფერადებულ ნიღბებში, იქნევდნენ ირმის ჩლიქებისაგან გაკეთებულ სატაცურნს. როგორც კი დაინახეს მეფდრებმა, რომ ატსის არწივის ბარტყი მოჰყავს, მათ დაიწყეს როკვა მის ირგვლივ, ხტოდნენ მაღლა, რადგან მისი ნაპოვნი კეთილის მომასწავებელი იყო მთელი ნუმიპუს ტომისათვის. იმ ღამეს მთელი სოფელი ცეკვავდა და მხიარულობდა. ნუმიპუს ტომი მიესალმებოდა ახალგაზრდა არწივს, როგორც უძლიერეს მფარველ სულს, და ატსისათვისაც ეს ფრინველი გახდა უფრო ახლობელი და მშობლიური, ვიდრე ჩვეულებრივი ტოტემი.

* * *

ვერც ერთმა ვერ გაბედა დაერქმია რაიმე სახელი არწივის ბარტყისათვის. ხალხი მას ეძახდა ტი-არწივს, რაც ნიშნავს არწივების ბელადს. მეფური ფრინველიც თითქოს გრძნობდა ამას, ის ყველას ზვიადად ეპყრობოდა, თვით ტომის მოხუც ბელადსაც კი. ის გაშმაგებული ეცემოდა ყველას, ვინც კი გაბედავდა მასთან მიახლოებას, გარდა ატსისა. ატსის დანახვაზე არწივის ბარტყს აღმოხდებოდა სუსტი, მხიარული ჭყივილი, რომელიც ყოველთვის თავდებოდა გაბედნიერი ბედნიერი კივილით. ის წყნარად დაჯდებოდა ატსის ხელზე და ფრთხილად იღებდა მისი თითებიდან კიბობესა და თევზებს.

შემდგომ, როდესაც უკვე მოურჩა მოტეხილი ფრთა, არწივის ბარტყი არ გაფრენილა ამ სოფლიდან, მან დაიბუდა მაღალ ფიქვზე და ატსის პირველ დაძახებისთანავე ჩამოფრინდებოდა მასთან ხის წვეტიანებიდან. მალე მან თვითონ ისწავლა თევზების ჭერა. შემოდგომაზე, როდესაც ორაგულები მდინარის სათავისაკენ ადიოდნენ, არწივი დაჯდებოდა მაღალ ნაპარზე საგუბართან და დაშტერებით, დაუხამხამებლად ჩასქეროდა წყალს თავისი ქარვისებური თვალებით.

თუ ორაგული ამოხტებოდა წყლიდან, ფრინველი ქვასავით ეცემოდა ძირს, სტაცებდა უბედურ თევზს კლანჭებს და მძიმედ აფრინდებოდა ნაპირზე. ერთხელ, როდესაც ატსი ავიდა მაღალ კლდეზე, საგუბარის ზევით, ვერ დაინახა ტი თავის ჩვეულებრივ ადგილას. მან ყურადღებით დაათვალიერა ირგვლივ ყველა ხე, ყველა კლდე ხმამაღალი ყვირილით:

— ტი, ჩემო პატარა ძმაო, მოდი ჩემთან! — მაგრამ პასუხი არ იყო. შეწუხებულმა ატსიმ გახედა შორს, დაბლა ლურჯ წყალს და დაინახა ტალღებზე მოფართხალე ფრთები, ზზეფები და ქაფი. მას შემოესმა ფრთების მძვინვარე ტყლაშუნი და მიხვდა, რომ არწივი დაეცა მეტად დიდ ორაგულს. ორაგული იტაცებდა მას წყლისკენ. არწივს სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა, იმიტომ რომ მისი ფრთები დასველებული იყო და აფრენა უკვე აღარ ძალუძდა.

მაშინ ატსიმ მთელი ხმით შეჰყვირა:

— ძმაო ჩემო ტი, გამაგრდი ცოტახანს **კიდევ**, ხედავ, მე შენთან მოვდივარ! — თქვა თუ არა, ის გადაეშვა კლდიდან ძირს და მისმა მოყვანილმა ტანმა, როგორც მოქნილმა ისარმა, გაკვეთა ტალღები.

ბამდენიმე სწრაფი, ძლიერი მოქნევა ფრთებისიმ მიეცურა არწივთან. ატსი ცდილობდა ... ვებინა და დაეშვიდებინა ის აღერსიანი ხმით. არწივის ბარტყი შესაბრალისი ჭყივილით გამოეხმაურა. ის მიეცურავდა წყალზე უმწეოდ გაშლილ-ართული. ტალღები ატრიალებდნენ მას და შორს მიჰქონდათ ნაპირისაგან. დაეწია რა ფრინველს, ატსიმ ჩაყვინთა, ამოიყვანა არწივი წყლიდან, შეისვა თავის შიშველ, შავგვრემან მხრებზე და მობრუნდა ნაპირისაკენ. ტიმ მაგრად ჩასჭიდა ატსის სხეულს თავისი ბასრი ბრჭყალები, სისხლის ღვარები დაედინა მხრებზე ბიჭს და გააწითლა ირგვლივ წყალი. ატსის ხმა არ ამოუღია, თუმცა ძალიან სტკიოდა.

მან გამოიყვანა არწივი ნაპირზე და სურნელოვანი ხავსით უწმენდა ფრთებს მანამ, სანამ ფრთები არ გახდა ჩვეულებრივად მშრალი და პრიალა.

ამიერიდან ტი-არწივი და ატსი გახდნენ მთლად განუყრელნი.

* * *

ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს ატსი ტყისაკენ გაემართა და იქ უმადურება შეემთხვა. თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მოხვდა დათვის ორმოში. სიარულისას უცბად ჩაქანდა ღრმა უკუწში. ჩავარ-

ბარტყი კი ისევ მის ფეხებთან იყო და შეშინებული ჭყიოდა.

დნისას დაეჯახა მახვილ სარს და ისეთი საშინელი ტკივილი იგრძნო, რომ მაშინვე გრძნობა დაკარგა. ასე ეგდო ნახევრად მძინარეივით და ბოდავდა მთლად დამტვრეული და გასისხლიანებული.

ნუმიპუს ტომმა ვერ შენიშნა ატსის გაქრობა: ბიჭი ისე ხშირად მიდიოდა ხოლმე მთელი დღეებით მდინარეზე ნავით, ანდა დახეტიალდებდა ტყეებში, რომ აზრადაც არავის მოსვლია შეწუხებულიყო მისთვის.

უცბად სოფლის თავზე განმგმირავი კივილით გადაიფრინა არწივმა, მან წრე დაარტყა ხალხის ქოხებს ზემოთ, ხან დაექანებოდა ძირს, ხან ისარივით აიჭრებოდა ზევით, ხან გაფრინდებოდა ღრუბლებით დაფარული მთების ტყიანი მწვერვალებისაკენ, ხან უკან ბრუნდებოდა. საგონებელში ჩაეარდნილი მისხები შესცქეროდნენ და თავს იტეხდნენ, ცდილობდნენ მიხვედრილიყვნენ, რის მომასწავებელი იყო არწივის ეს არაჩვეულებრივი ცეკვა.



ორგული იტაცებდა მას წყლისკენ.

ისინი აგდებდნენ მიწაზე თავის ჯადოსნურ ჯოხებს, მაგრამ ვერ ღებულობდნენ მათგან ვერავითარ პასუხს. არწივი კი განაგრძობდა სოფლის ირგვლივ ფრენას ფართო წრეებად, საგანგაშო ყიჟინით ტიალებდა ჰაერში საღამომდის, სანამ სულ არ დაბნელდა.

მაგრამ მეორე დღეს, ის იყო მზე ამოვიდა, რომ არწივი ისევ გამოჩნდა კრიალა ცაზე. მაშინ ყველაზე მოხუცებულმა მისახმა თქვა:

— შეხედეთ, ეს ხომ არწივი ტი არის, ბელადის შვილის ტოტემი. ის მისი მფარველი სულია, გაეყვეთ ბელად ფრინველს, ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა ატსის?

და მხოლოდ მაშინ შენიშნა ხალხმა, რომ ატსი მართლაც არსად იყო.

გაიფიქრეს რა, რომ მისანი მართლაც ბრძენია, ისინი გაპყვნენ არწივს, რომელიც როგორც კი დაინახა მიმავალი ხალხი, გაფრინდა პირდაპირ ბნელი ტყისაკენ. არწივს მიჰყავდა ისინი წინ, სულ წინ. ხან ეშვებოდა ძირს, ხან აფრინდებოდა მაღლა, ხეების ზევით. ბოლოს ის დაფრინდა მაღალი ფიჭვის ტოტზე და გამგმირავი ხმით შეკივლა. ფიჭვის ქვეშ ინდოელებმა ღრმა ორმო იბოვეს, ორმოში კი—ცეცხლისაგან ნახევრად მკვდარი ატსი. ბიჭი ამოიყვანეს ორმოდან და წაიყვანეს სოფელში. მისნებმა ჩაიცვეს თავისი ჯადოქრული ნიღბები და დაინყეს მის ირგვლივ საშინელი ცეკვა, რითაც უნდოდათ განედევნათ ავადმყოფობის სული. ატსი გადარჩა. ტომი მხიარულობდა, უხაროდა, რომ სიცოცხლემ დაამარცხა სიკვდილი.

ამის შემდეგ ხალხი კიდევ უფრო მტკიცე პატივისცემით ეპყრობოდა არწივს, ვიდრე აქამდის.

* * *

სწორედ ამ წელიწადს ინდოელებმა პირველად გაიგეს თეთრკანიანი ხალხის შესახებ.

ყოველდღიურად, თანდათანობით თეთრკანიანები სულ უფრო და უფრო ახლოს მოიწევდნენ ნუმიპუს სამფლობელოებისაკენ.

რა ველური, რა უბედური იყო აიდაგოს მხარე, მაგრამ იქ მაინც ბევრი მიმზიდველი რამ იყო ხარბი თეთრკანიანებისთვის. ატსის მამა, მოხუცი ტი, დაბერდა, ის უკვე გაჯირვებით ამოძრავებდა ფეხებს სულების ცეკვის დროს. ატსი კი ჯერ ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. ტომს აღარ ჰყავდა ნამდვილი ბელადი. ისარგებლა რა ამით ხალხმა, რომელსაც თეთრი სახეები და შოროს მშვრეტელი თვალები ჰქონდა, თანდათანობით წალეკა ნუმიპუს მხარე. მათ დაიწყეს ინდოელების ტყეების გაკაფვა, მათი გარეული ნადირისა და ფრინველების ხოცვა, ისინი ხნავდნენ მათ მიწებს, აგებდნენ მკვრივ, თუმცა უხეშ სახლებს, და ირგვლივ მესერს ავლებდნენ. თეთრკანიანები აუტანელი თავხედობით ეძახდნენ მიწას თავის საკუთრებას, თუმცა ამ მხარეში მთელი მიწაწყალი უძველესი დროიდან ნუმიპუს ხალხს ეკუთვნოდა.

ისინი ავიწროებდნენ ინდოელებს აუჩქარებლად, შეუპოვრად და იკავებდნენ ახალ-ახალ ნაწილებს. ისინი მდინარის ნაპირებზე აგებდნენ ნავმისადგომს, საწყობებს და ავსებდნენ ნავსადგურს სწრაფმავალი ნავებით.

ინდოელები გაიუზების, სნეიკსების, უმატილას და მალელოს ტომებისა, ამ თავდასხმით საგონებელში ჩავარდნილნი, უმწეოდ შესცქეროდნენ თეთრკანიანებს. მათ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ გასცლოდნენ.

ამ მძიმე წელიწადს ატსის მამა გარდაიცვალა. შვიდი დღე და შვიდი ღამე დასტიროდა ბელადს ნუმიპუს ტომი. ნუმიპუს ხალხი ცეკავდა ჩრდილების ცეკვას სამგლოვიარო კოკონის ირგვლივ. ამ სამგლოვიარო კოკონზე აღმართეს სხეული ბელადისა, ერთ დროს უძლეველი მეომრისა და დიდებული მონადირისა.

ატსიმ, რომელიც უკვე ბელადი გახდა, მოიტანა ანთებული ჩირაღდანი, რომელსაც ეკლებიანი, ფისოვანი ტოტები ჰქონდა. ალი ცაში ავარდა და მეწამული სინათლე დაეცა ჩაბნელებულ მდინარეზე. მისნები დინჯად ტრიალებდნენ მძვინვარე კოკონის ირგვლივ და ღამე გაიესო მამაკაცების სევდიანი სიმღერით, ქალების ტირილით.

ბელადის დასაფლავების შემდეგ ნუმიპუს ტომმა დატოვა მშობლიური ადგილები და გაემართა ზევით, ორაგულების მდინარის სათავეებისაკენ, შორს თეთრკანიანებისაგან.

ველურ, მივიწყებულ ადგილას, იქ, სადაც მხოლოდ ფრიალო კლდეები ამაღლებულიყვნენ და დასცქეროდნენ პირქუშ, აქოჩრილ ტყეებს, ნუმიპუს ხალხმა აიშენა უხეში კარვები და დაიწყო ცხოვრება.

ტი არწივიც გაჰყვა თავის ტომს ახალ ადგილას. მისი ნახვა ძველებურად ყოველთვის შეიძლებოდა იქ, სადაც იყო ატსი. მან ბინად ამოირჩია ბებერი გამხმარი ფიჭვი, შიშველი ტოტებით. ეს ფიჭვი აღმართულიყო მიუვალ, ციცაბო კლდის მწვერვალზე. ეს უზარმაზარი ფრინველი ცხოვრობდა პირქუშ მარტოობაში, მიწიდან მაღლა, ადამიანებისაგან შორს. თითქოს არწივსაც ესმოდა, თუ რა უბედურება ემუქრებოდა ინდოელებს თეთრების თავდასხმით.

გავიდა რამდენიმე წელი. ბინდმა მოიცვა ნუმიპუს ყოფილი დიდება. ინდოელები უცვლიდნენ თეთრკანიანებს ცხენებს, ბეწვეულს, ჭილობებს საკეებში, რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო ძვირდებოდა. ოდესღაც დოვლათიანი ცხოვრება ანალრიბით შეიცვალა. ნუმიპუს ხალხს ბუნდოვანად სწამდა, რომ მათი უბედურება დაკავშირებულია თეთრკანიანების მოსვლასთან, თეთრკანიანი ხალხის ხარბ, ბოროტ სულთან, რომლებმაც არ იციან შებრალება. ისინი ინდოელებს აძლევდნენ ბოთლებს „ცეცხლიანი წყლით“—არაყით, ამ შხამში მიჰქონდათ მათგან ბეწვეული, მიწები, სიმდიდრე.

ამაოდ ეეიდრებოდა ატსი, ნუმიპუს ახალგაზრდა ბელადი, ინდოელებს არ დაელიათ საშინელი არაყი: მას არ უსმენდნენ არც თეთრკანიანები, რომელთაც სთხოვდა არ გაეყიდათ „ცეცხლიანი წყალი“, არც ინდოელები, რომლებსაც უბრძანებდა არ მიეცათ თავიანთი მიწები ამ მავნე სასმელში.

არწივი ტი კი განაგრძობდა ცხოვრებას მაღალ შიშველ ფიჭვზე. ის დაბერდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი იყო და კელავინდებურად ითვლებოდა ნუმიპუს ტოტემად. კლდე, სადაც იდგა მისი ფიჭვი, იმდენად მიუვალი იყო, რომ არც ერთ თეთრკანიან ადამიანს არ შეეძლო ასვლა მის შვეულ ფერდობებზე, თუმცა ბეერმა მთაგანმა სცადა ეს.

მხოლოდ ატსიმ იცოდა საიდუმლო ბილიკი იმ მწვერვალამდის, სადაც არწივი ცხოვრობდა, თვეში ერთხელ ადიოდა კლდეზე წელში მოხრილი მძიმე. საკმელით დატვირთული ტომრით ზურგზე, რომელიც მიჰქონდა არწივთან ძღვნის სახით. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ატსის გაძოეტოვებინა თუნდაც ერთხელ თავისი ყოველთვიური გამგზავრება.

ადამიანი და არწივი ძველებურად ძმები იყვნენ. და თუ ზოგჯერ არწივი არ აღმოჩნდებოდა მკვდარ ფიჭვზე, ატსი ეძახდა მას ხმამაღლა, ისე, როგორც წარსულ წლებში, და მას ძალთმინებით ელოდა, გასაქცეროდა რა გამკრიახი თვალებით უძირო ცას, სანამ არ შენიშნავდა იქ შავ წერტილს, რომელიც მოახლოებისას თანდათან დიდდებოდა. არწივი მძლავრად იყო გაშლილი ღრუბლების ფონზე. მისი სხეული, სწრაფი, როგორც ელვა, მოექანებოდა ციდან.

არწივი ჯდებოდა თავის ფიჭვის მწვერვალზე მასასალმებელი შეძახილით, თითქოს ეუბნებოდა: „ხედავ, ძმაო, მე დავბრუნდი იმ გზიდან, რომელსაც მივყავდი ციური ქვეყნისაკენ. დაგინახე შენ და გამოვეჩქარე სახლხისაკენ, რომ მეგობრულად მოგსალმებოდი“.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თარგმანი ელ.—ისა

სამშობლოს სადარაჯოზე

ღამეა...

უკუნეთი სიბნელე ჩამოწოლილა. ოდნავ ნიავზე ფოთლები გაიშრიალებს და ისევ გაირინდება. შორს სადღაც მგელი დაიყმუვლებს და ეს ყმუილი გადაიცემა ტყეს, მთებს და სადღაც უფსკრულში შთანთქმება. იქით კი გაისმის ბუს გულშემზარავი კივილი.

მესაზღვრე ლომა, რომელიც საზღვრის ბოძთან დგას, ყოველივე ამას ფხიზელი ყურით ისმენს, ყველას ამოწმებს, რომ მტერი რაიმე მახინაციით არ შემოძვრეს ჩვენს მზიურ ქვეყანაში.

ორი წელია, რაც ლომა მესაზღვრეა და, ვინ იცის, ამ ხნის მანძილზე რამდენი ბოროტი დაუჭერია. ჯილდო მრავალჯერ მიუღია. იგი მედგრად დგას და თვალით, როგორც ლომის სიბნელესაც კი შესჩვეივა, უყურებს მშობლიური ქვეყნის საზღვარს.

ერთი წუთით მის თვალწინ გაირბინა განვლილმა ცხოვრებამ.

მამა, სიმონი, 70 წლის მოხუცი კოლმეურნე, თმა და წვერი ყაზბეგის მთასავით რომ შესთეთრებია, სტახანოველია კოლმეურნეობაში, შრომა მისთვის საპატიო საქმეა. საწყალი დედა! ის ვერ შეესწრო ოჯახის ბედნიერებას...

ძმა, ვალია, პილოტია. ამ კვირას წერილი. მოუვიდა „ძმაო ლომა,— სწერდა ვალია—იყავი კარგად, მე ვარ კომკავშრომელად. ყველი ფხიზელი. მედგრად დაიცავი სამშობლოს წმინდათა-წმინდა მიწაწყალი".

ნათელამ, ლომას ცოლმა, როდესაც ეს წერილი ოჯახში წაიკითხა, მოხუცი სიმონი სიბამოვნებით იღიმებოდა, ალბათ, მოაგონდა თავისი ახალგაზრდობა და მას— დარაბედი დღევანდელს.

მაგრამ ეს რაა... ხმელ წოწკებს ვიღაცა ამტვრევს, მესაზღვრის ფხიზელ ყურს ესმის ნელი ჩურჩული.

—ეს, ვიქტორ, თუ ამ ადგილს გავცილდით, მერე ღმერთი ჩვენკენ იქნება, მაგრამ საქმეც ესაა. ძალი ან ფხიზლად არიან, ჩიტიც ვერ გადაიბარებათ.

—ნუ გეშინია, ძმაო, აქ ჩემი ძმაა მესაზღვრედ და თუ მისი მოროგეობაა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ისინი ამ საუბარში არიან და თან წინ მიიწევენ, გაუსწორდნენ ლომას, რომელიც იქვე ჩასაფრებული იყო.

—შესდექით! ხელები მაღლა, მაღლა!

წამოიჭრა ლომა ვეფხვივით ზეზე და რევოლვერი პირდაპირ დაუჭირა.

—ძმაო ლომა, ნუთუ შენ? მე შენი იმედი მქონდა.

—ვიქტორ! მეც იმედი მქონდა, რომ პატიოსანი ადამიანი იქნებოდი... მაგრამ... რას ვხედავ, ჩემს წინ დგას ჯაშუში ძმა, რომელსაც ჩემი ხელით მივიყვან საგუშაგოზე.

—ლომა, მოიგონე ჩვენი ბავშვობა... მე გთხოვ.

მე, შენი ძმა ვიქტორი, საზღვარზე გადამატ...

—ვინა, მე? მოგიკვდეს ლომა, თუ სამშობლოს მიწაზე სისხლი არ დაღვაროს, ვიდრე თქვენ გადაგიშვებდეთ. ახლავე საგუშაგოზე!

—უმალ მე მოგკლავ ჩემის ხელით!

და როდესაც ამ სიტყვებზე ვიქტორის რევოლვერმა სიბნელეში გაიპრიალა, ლომამ პირდაპირ გულში დაახალა ჯერ ვიქტორს და მერე მეორეს.

ლიზა სინჯიკაშვილი.

სიღნაღის რაიონი. ბოდბისხევის სრული საშუალო სკოლის მოსწავლე.

ნაძვისხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდან მოხველ, ნაძვისხევ,
რით გაგვიხარე გული,
რით მოიტანე ჩვენთვის
ამდენი სიხარული!
მეტად ლამაზად ლაპლაპებ,
ნარი-ნარი ფერით,
გარს გეხვევიან ბავშვები
სიცილ ითა და მღერით.

გ. ძვარია.

თბილისის მე-18 სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

თოვლი

როგორც ნაზი პეპლები
თეთრ, ბეწვიან ქულებად.
თოვლი ბარდნის, მოციკკავს,
დაღვრემილა ბუნება.

ჩაეხუტა მიდამოს
თოვლი ცეკვა-თამაშით,
გამოეწყო ტყე-ველი
თეთრ უმანკო კაბაში.

გაიხარა გლეხკაცმა,
გაუბრწყინდა მას თვალი,
იცის: ზამთარს თოვლიანს
თან მოსდევს მოსავალი.

თეთრწვერამ და ჭაღარამ,
ზამთარმა გაახარა
ჩვენი გოგო-ბიჭები,
ეს ბავშვები პატარა.

როგორც ნაზი პეპლები
თეთრ, ბეწვიან ქულებად,
თოვლი მოდის თამაშით,
დაღვრემილა ბუნება.

გურამ ასათიანი.

თბილისის მე-18 სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიძლიერე ძეთხილამურე გოგონა

შენ ფიქვნარიდან გამოხველ,
მკერდს გიკოცნიდა ქარი,
გამოგყვა შენებრ ცქრიალა
გოგო-ბიჭების ჯარი.

გული აუსვეთ ყიჟინით
თოვლით დავერცხლილ სერებს,
შენ წინ მოქროდი, კორდები
პირველმა გადასერე.

ხარობდნენ ბერი მუხები,
იბერტყდნენ თოვლის ნაბდებს,
და ფიფქი, ჯერ ხელუხლები,
ბრწყინავდა მიწით ცამდე.

მაგ თხილამურებს აქებდა
მკერდდაჯავშნული წყარო,
შენს ღიმილს ველთან ღიმილი
ამოჰყვა სანეტარო.

ფიქვნარებიდან გამოხველ,
მკერდს გიკოცნიდა ქარი,
თითქოს შენს სიცილს ამოჰყვა
გოგო—ბიჭების ჯარი.

მურმან ლეგანიძე
თბილისის, მე—35 სკოლის მოსწავლე.

თოვლი ბაღშეები

თოვლი მოდის ფთილა-ფთილა,
მიწას ეკვრის თეთრი ბადე,
გამო, გივი, და ამ დილას
შენი ციგით ინავარდე.

არ გაცივდე, თბილად გეცვას,
არ აგიტყდეს სურდო, ხველა,
ციგა ხევში არ გაგიქცეს,
დაუჭირე თავი ხელად.

ვიგუნდაოთ, ვისრიალოთ,
გაგვეთოშოს ხელი, პირი,
და ბავშვებთან არ დამალო,
თუ რომ გძლიო, ჩემო გივი.

გამოვიდა გივი გარეთ,
მოიტანა თავის ციგა,
თეთრად ბრწყინავს არემარე
და თოვლი კი ისევ ცვივა.

ავთანდილ შიშინაშვილი
თბილისის მე-46 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

ქენია როსებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალუმინი

ყველა თქვენგანს უნახავს თეთრი მეტალის ალუმინის ლამაზი ქვაბები, თეფშები, ფინჯნები, კოვზები და სხვა საოჯახო ჭურჭელეული, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის, ამის გარდა რა გამოყენება აქვს ალუმინს, თქვენ კი ყოველთვის და ყველგან მის მახლობლად იმყოფებით. იქნება გაგიკვირდათ? აქ საკვირველი სრულიად არაფერია. თქვენ ხომ დედამიწას ვერსად გაექცევით, ის კი დედამიწაზე ყველგან მოიპოვება. ალუმინს მესამე ადგილი უჭირავს გავრცელების მრიგ ქანგბადისა და სილიციუმის შემდეგ. მთელი დედამიწის ქერქის, 7, 5%, მოდის ალუმინზე. ეს პირდაპირ წარმოუდგენელი სიდიდეა. რამდენი მატერიელი მოუნდებოდა მის გადაზიდვას!

მიუხედავად ასეთი გავრცელებისა, ალუმინი თავისუფალი სახით მე-19 საუკუნემდის არ იყო ცნობილი. პირველად ველერმა 1827 წ. მოახერხა მეტალური ალუმინის მიღება მისი ერთ-ერთი მარილიდან. მაგრამ მიღების ეს მეთოდი იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ ალუმინი ოქროსავით ძვირად ფასობდა. მისი ჯურჭელი უფრო იშვიათი იყო, ვიდრე ოქროს ან პლატინისა.

ალუმინი წარმოადგენს ვერცხლივით თეთრს მეტალს. წყალზე მხოლოდ 2,7-ჯერ მძიმეა. იქედება და მავთულებად იწელება. საუცხოო გამტარია სითბოსი და ელექტრობისა. ამასთან იგი ჰაერზე იფარება თვალით შეუმჩნეველი ქანგის მკვრივი ფენით. ეს ქანგი იფარავს ამ მეტალს შემდგომი დაქანგვისაგან. მისი ყველაზე შესანიშნავი თვისება სიმსუბუქეა. ის სამჯერ უფრო მსუბუქია ფოლადზე და ამავე დროს მისი შენადნობები ფოლადივით მკვიდრი და მაგარია.

მეცნიერები ორმად დაინტერესდნენ ალუმინის შეუდარებელი თვისებებით და დაიწყეს მუშაობა მისი მოპოვების იაფ საშუალებებზე. მართლაც, მოკლე ხანში გამოიმუშავეს ალუმინის მიღების ძალიან იაფი და მარტივი მეთოდი—ელექტროლიზური მეთოდი. ამ წესით ალუმინის მიღება ხდება დიდ, ნახშირის აგურებით მოფენილ აბაზანებში. ელექტროლიზებად ნახშირის სეტები იხმარება. ალუმინის წარმოებას დიდძალი ელექტროენერგია სჭირდება, ამიტომ ჩვეულებრივად ალუმინის ქარხნებს აშენებენ მძლავრ ელექტროსადგურებთან და არ ერიდებიან მადნის შორიდან მოტანას. ელექტროლიზური ხერხის გამოყენებამ ალუმინის. წარმოება საოცრად გაზარდა და განავითარა, მისი ფასიც ერთბაშად დაეცა. ალუმინი გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფერადი მეტალი. ალუმინის შენადნობებს თავისი სიმსუბუქის, სიმტკიცის, სიიაფისა და დაუჟანგველობის გამო არც ერთი შენაღნობი არ შეედრება. საავიაციო და საავტომობილო საქმეში ალუმინი ყველაზე მთავარ როლს ასრულებს. ყოველგვარი ტიპის თვითმფრინავებს აშენებენ უმთავრესად ალუმინის შენადნობებისაგან, განსაკუთრებით ე. წ. დურალუმინისაგან. ასევე აუცილებელია ის ავტომობილების მშენებლობაში. საზღვარგარეთ ზოგჯერ მთლიანად ალუმინისაგან აგებენ რკინისგზისა და ტრამვაის ვაგონებს, საოჯახო დგამს. სახლის სახურავებს, თაღებს, ჩუქურთმებს, მანქანებს და სხვა. ალუმინი საკმაოდ კარგად ატარებს ელექტრონებს, რის გამოც ფართოდ იხმარება ელექტროტექნიკაში სპილენძის მაგივრად.

ალუმინი მაღალ ტემპერატურაზე სხვა მეტალების ჟანგიფულებს აღადგენს, თვითონ იჟანგება. ამ დროს ისეთი დიდი სითბო გამოიყოფა, (3000)°, რომ ყოველგვარი მეტალი ლღვება. ამ წესით იღებენ ძნელად დნად მეტალებს — ქრომს, მანგანუმს, ვოლფრამს და სხვა. ალუმინის მეტალთან ჟანგიფულების აღდგენის პროცესს ალუმინოთერმია ეწოდება.

თქვენ ალბათ გინახავთ, როგორ ადუღებენ ტრამვაის რელსებს ან გატეხილი მანქანის ნაწილებს, აქაც ალუმინს ხმარობენ. ამას ახდენენ ალუმინის ფხვნილისა და რკინის ჟანგის ნარევით, ე. წ. თერმიტით. თერმიტი იხმარება ცეცხლგამჩენ ყუმბარებშიაც. თერმიტიან ყუმბარას შეუძლია გაადნოს ყოველგვარი სისქის რკინის სახურავები, ჩავიდეს შენობაში და ხანძარი გამოიწვიოს.

გარდა მეტალური ალუმინისა, უდიდესი გამოყენება აქვს მის ბუნებრივსა და ხელოვნურ შენაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებსაც. მათ შორის აღსანიშნავია ალუმინის, სილიციუმისა და ჟანგბადის შენაერთები—თიხები, ანუ სილიკატები. მათი გამოწვით ამზადებენ აგურს, თიხისა და ფაიფურის ჭურჭელს. თიხისგანვე ღებულობენ ყველასათვის ცნობილ ლურჯ საღებავს „ლილას", რომელსაც მეცნიერები ულტრამარინს უწოდებენ.

ალუმინის ჟანგის ბუნებრივი ან ხელოვნურად მიღებული კრისტალი კორუნდი სიმაგრით მხოლოდ ალმასს ჩამოუვარდება. კორუნდი ფართოდ იხმარება ტექნიკაში მანქანების საკისურებისათვის, საათის „ქვებად", სამკაულებისათვის, ხალუს ქვებად და სხ.

ალუმინის მარილები და მათ შორის შაბი დიდ გამოყენებას პოულობს მედიცინაში, ტყავის დამზადების დროს, სამღებრო საქმეში და სხვაგან.

ალუმინის სხვა მრავალგვარი შენაერთი კი იხმარება ქიმიურ წარმოებებში როგორც აუცილებელი ნივთიერება მრავალი ქიმიური პროცესის ჩასატარებლად.

ჩვენში წინათ ალუმინი და მისი შენაერთები უცხოეთიდან შემოჰქონდათ. საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგად აღმოჩენილ იქნა ბიქსიტის მძლავრი ბუდობები და კიდევაც დაიწყო ალუმინის წარმოება. პირველი ქარხანა ამუშავდა 1931 წ. 13 მაის ლენინგრადის მახლობლად, ზვანკაში (ვოლხოვსტროის კომბინატი), მეორე კი სწორედ ერთი წლის შემდეგ: დნეპროჰესზე. ამჟამად საბჭოთა კავშირი ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ქვეყნად ითვლება მსოფლიოში ალუმინის წარმოების მხრით, წლიური გამომუშავება რამდენიმე ათეულ ათას ტონას უდრის და ჩვენი საავიაციო და საავტომობილო მშენებლობა სავსებით უზრუნველყოფილია ალუმინით.

ქალია „პერისკოპი"

დიდი ხანი არ არის, ექსპედიციიდან, ახალი გვინეიდან, ლონდონში დაბრუნდა მკვლევარი—მხატვარი ქალი მის ეველინა ჩისმანი. მან ახალი გვინეის ტყეებში 18 თვე დაჰყო. მან გადალახა ისეთი უღრანი ტყეები, სადაც უკანასკნელი 78 წლის განმავლობაში ფეხი არ შეუდგამს არც ერთ თეთრკანიან ადამიანს.

მკვლევარმა ქალმა ლონდონის საბუნებისმეტყველო-ისტორიული მუზეუმისათვის ჩამოიტანა უმდიდრესი კოლექცია მწერებისა, მთის პეპლების, ღამის ბუზანკალებისა და სხვა. მის კოლექციაში მარტო ბაყაყი ათასზე მეტი სახისაა, აქედან უმრავლესობა ეგრეთწოდებული ხის ბაყაყებია.

მთავარი ამ კოლექციაში არის სრულიად ახალი სახის კალია თვალებით — „პერისკოპებით". კალიას აქვს არაჩვეულებრივ გრძელი კისერი, მისი თვალები მოთავსებულია გრძელი, წინ წამოზრდილი რქების ბოლოს, რომელიც თავისი ფორმით პერისკოპს მოგვაგონებს.

ყველაზე პაპარა წიგნი

ეს არის „ვარდების ბაღი" მე-12 საუკუნის სპარსელი პოეტის ომარ ხაიამის ლექსების კრებული. ინგლისური თარგმანი ტომპსონისა. წიგნი გამოცემულია უორსესტერში (აშშ), 1932 წელს. მისი ზომაა $^1/_4 \times ^1/_{16}$ დუიმი. დაბეჭდილია კლიშით, ხოლო შეკერილია ხელით. გარეკანი აქვს ტყავის. წიგნის ტირაჟი 150 ეგზემპლარია.



ПИОН ТЬ
УЕЛИКОВЕЛИ. 10
ГЕР. ОУБЛ. БИБ,КА
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბასართობი

ყველგან ასი

ცენტრში მოთავსებულ წრეში ჩაწერილია 25. საჭიროა ყველა უჯრედში ჩასწეროთ ისეთი რიცხვები, რომ ყველა ორ, ერთიმეორის მოპირდაპირე სექტორში მოთავსებული რიცხვების ჯამი, ცენტრში



მოთავსებულ 25-ის ჩათვლით, უდრიდეს ასს. ამის გარდა ჩაწერილი რიცხვები უნდა იყოს ისეთი, რომ მათი ჯამი ყოველ წრეში აგრეთვე უდრიდეს 100-ს. რიცხვები სხვადასხვანაირი უნდა იყოს.

დანყვეტილი ძენკვი

სახელოსნოში მიიტანეს საათის დაწყვეტილი ძეწკვი, რომელიც 15 რგოლისაგან შედგებოდა. ეს ძეწკვი გაწყვეტილი იყო ხუთ ნაწილად, თითო ნაწილი სამი რგოლისაგან შედგებოდა, როგორც ნაჩვენებია ნახატზე.

ძეწკვი შეაკეთეს და ანგარიშში ჩაწერეს 4 რგოლის გაჭრისა და კვლავ შეერთების ღირებულება. მაგრამ ძეწკვის პატრონმა განუცხადა ხელოსანს, რომ მისგან ზედმეტი აიღეს, რადგან ძეწკვის შეკეთება შეიძლებოდა სამი, და არა ოთხი რგოლის გაჭრითა და შეერთებით. მან იქვე აჩვენა. ხელოსანს ის ხერხი თუ, როგორ უნდა გაეკეთებინათ ეს. სცადეთ მონახოთ ეს ხერხი.

პასუხები „პიონერის“ № 11-ში მოთავსებულ გასართობებზე

თავსავეხი



ციხედარბაზის საიდუმლოება



სწრაფად გადაწყვიტეთ

35, 49, 6 და 294. მათი ჯამი უდრის 384-ს. ხოლო $35+7=42$; $49-7=42$; $6\times7=42$ და $294:7=42$.